



საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32, ტელ.: 293-48-57 (ქალაქი), 2-86 (შიდა)

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების

გზავნილი

ბს-680-676(კ-17)

ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მისამართი: ქ. თბილისი. გრიბოედოვის ქ. № 3

გეგზავნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 07 დეკემბრის განჩინების ასლი.

მოსამართლის მ/თანაშემწე

მარიამ ოზიაშვილი

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საქმე # 33031001500105957



1173642542512

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ბს-680-676(კ-17)
IDFI ბს-680-676(კ-17)

07 დეკემბერი, 2017წ.
ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ნუგზარ სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მოსამართლეები: მია ვაჩაძე, ვასილ როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.04.2017წ. განჩინებაზე

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 06.08.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ 16.04.2015წ. N04/15-009 წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.01.2016 წ. გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა 16.04.2015წ. N04/15-009 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოსარჩელისათვის გადაცემა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.04.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსის 39.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადახდელის შესახებ მიღებული

ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლით დადგენილია კონფიდენციალურ ინფორმაციას მიკუთვნებული მონაცემები, რომელთა შორის დასახელებულია საგადასახადო შემოწმების ბრძანებები, შემოწმების აქტები და სხვ. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ კანონის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის მოთხოვნით საქართველოს მთავრობას წინადადებას წარუდგენს ორგანიზატორი, რომელიც არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს და რეგისტრირებულია საქართველოს სხვა ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამდენად, ორგანიზატორი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს და მის მიმართ უნდა გავრცელდეს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორი მიიჩნევს, რომ პირის ტექნიკური ბაზისა და პირთადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც იგი იყენებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის, მიეკუთვნება მის ფინანსურ საიდუმლოებას, ხოლო ორგანიზატორის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია თავისთავად მოიცავს პირის ფინანსურ ვალდებულებას და ამდენად, განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციათა რიგს. მართალია კონსტიტუციის 41-ე მუხლი ანიჭებს პირს უფლებას კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუმცა იმავდროულად აწესებს გამოწვევის და ადგენს შემთხვევებს, როდესაც დაუშვებელია სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცემა. ამდენად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური, დაუშვებელია გაიცეს ინფორმაცია თუ იგი შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამასთანავე, სჯავ-ის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ინფორმაციის გასაიდუმლოების ერთ-ერთ კანონით განსაზღვრულ შემთხვევას კი წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი, რომელიც გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში დაცულ ინფორმაციას კონფიდენციალურად მიიჩნევს. საგადასახადო კოდექსით ამომწურავად არის ჩამოთვლილი გადასახადის გადამხდელის შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც არ განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოების სფეროს, სხვა გამოწვევის დაწესება დაუშვებელია. კოდექსის 39-ე მუხლი გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის წინაპირობად არ ადგენს ინფორმაციის საგადასახადო ადმინისტრირების შედეგად მოპოვებას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, საქმის

მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა.

საგადასახადო კოდექსის 39.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ

გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა კანონით დადგენილი გამოწვევისა, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.10.2008წ. N2/3/406,408 გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საერთო მახასიათებელი ნიშნები, რომელთა მიხედვით საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოებში თავს იყრის გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად, ინფორმაცია დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი 16.04.2015წ. N04/15-009 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ განხორციელდა თუ არა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 03.06.2008წ. N131 დადგენილების 4.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმება, შემოწმების შემთხვევაში, მოსარჩელემ მოითხოვა შესაბამისი შემოწმების ამსახველი დასკვნის/ოქმის მიწოდება. მოსარჩელეს არ მოუთხოვია საგადასახადო ადმინისტრირების შედეგად მოპოვებული, საგადასახადო ურთიერთობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა.

საქართველოს მთავრობის 03.06.2008წ. N131 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების“ 4.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თიზის ფუნქციონირება შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ფიზიკურად შემოწმდება და დადასტურდება თიზის შესაბამისობა „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თავის მხრივ „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ“ ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 05.01.2011წ. N11 დადგენილებით და განსაზღვრავს თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის გაანგარიშების, გარანტიის სახეობის განსაზღვრისა და წარდგენის წესს, თზ-ის შექმნის პირობებსა და ფუნქციონირების წესს, თზ-ში საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების, თზ-ში საქონლის შენახვის წესებს, თზ-ში მოთავსებული საქონლის აღრიცხვის წესებს, საქონლის მომთავსებლის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს (ინსტრუქციის 1-ლი მუხ.). ინსტრუქციის მე-3 და მე-4 თავებში ასახულია ის ტექნიკური, საორგანიზაციო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს თიზის მოწყობისას, ასევე ხდება მითითება უფლებამოსილ ორგანოში ორგანიზატორის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციაზე. სსიპ შემოსავლების სამსახურის ამოცანაა დაადასტუროს ან უარყოს თიზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თიზ-ის შესაბამისობა (ინსტრუქციის 11.3 მუხ.).

ამდენად, თიზის შემოწმებისას სსიპ შემოსავლების სამსახური არ მოქმედებს როგორც საგადასახადო ორგანო, შემოწმება არ ხორციელდება გადასახადების ადმინისტრირების მიზნით, შემოწმებისას არ წარმოიქმნება საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა, შესაბამისად, მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ განიხილება საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობებად. დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ შემოწმების შედეგები კონფიდენციალურია საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის გათვალისწინებით, რადგან ნორმა გასაიდუმლოებულ ინფორმაციათა რიგს მიაკუთვნებს საგადასახადო შემოწმების შედეგებს, განსახილველ შემთხვევაში კი ორგანოს მხრიდან არ ხორციელდება საგადასახადო კონტროლი, რომლის ერთ-ერთი სახეც არის საგადასახადო შემოწმება (საგადასახადო კოდექსის 255.4 მუხ.). სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ თიზის შემოწმებისას განხორციელებული ქმედებები არ ექვევა საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფეროში (საგადასახადო კოდექსის 1-ლი მუხ.).

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ მოსარჩელეს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ინფორმაცია განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას, ორგანოს არ მიუთითებია ინფორმაციის გაცემის დამაბრკოლებელ სხვა გარემოებებზე. იმ შემთხვევაში თუ შემოწმების აქტი შეიცავს სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციას, შესაძლებელია მისი გაცემა გასაიდუმლოებული ნაწილების გამოტოვებით. ამდენად, მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს - წარმატების პერსპექტივა. ამდენად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.


ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ემუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:


1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.04.2017წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე



ნ. სხირტაძე

მოსამართლეები:



მ. ვაჩაძე

ვ. როინიშვილი